სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა
და
თბილისის მუზეუმების გაერთიანებას შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

27 მარტი, 2018 წელი

ერთიმხრივ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (ს/კ 245628496) წარმოდგენილი რექტორის ერმილე მესხიას სახით და თბილისის მუზეუმების გაერთიანებას შორის წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ნინო სანადირაძის სახით, აღიარებენ რა ორიმხრივ ინტერესს, თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ სახელოვნებო განათლებას, ერთობლივი ღონისძიებებისა და კვლევების დაგეგმვას, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:

1.1. სტუდენტებისათვის ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა;

1.2. სტუდენტთაა სტაჟირების ხელშეწყობა;

1.3. სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა პროექტებში, ტრენინგებში, სასწავლო პროგრამებში, საჯარო ლექციებში;

1.4. გამოცდილების გაზიარება და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

1.5. მხარეების მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

1.6. მხარეების მიერ ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 2

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

1.1. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ თბილისის მუზეუმების გაერთიანების მიერ ორგანიზებულ გამოფენებში, პრეზენტაციებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში;

1.2. უნივერისტეტის სტუდენტებს და ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცემათ საშუალება სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენონ თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების მუზეუმებში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი.

1.3. თბილისის მუზეუმების გაერთიანებას მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და სამეცნიერო კვლევები (მათ შორის კვლევის დაკვეთა), გამოიყენოს უნივერსიტეტში არსებული სივრცეები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური რესურსი.

მუხლი 3

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ;

3.2 მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

3.3 მემორანდუმის შეწყვეტამ გავლენა არ უნდა იქონიოს მხარეთა საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდებოდა მემორანდუმის შეწყვეტამდე.

მუხლი 4

4.1 მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5

5.1 წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

5.2 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

ხელმომწერი მხარეები:

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ერმილე მესხია
რექტორი

საქართველო, ბათუმი,
ლუკა ასათიანის ქ. N 37
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;
+995(422) 27-93-53.
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

თბილისის მუზეუმების გაერთიანება

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

საქართველო, თბილისი
დავით აღმაშენებლის ქ. N 103
ტ. (+995 32) 2305 001
ვებ.გვ. www.tbilisimuseumsunion.ge